



საქართველოს თავდაცვის სამინისტრო  
MINISTRY OF DEFENCE OF GEORGIA

# მინისტრის დირექტივები

## Minister's Directives

---

# 2019



# მინისტრის დირექტივები

---

# 2019

სარჩევი

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიმართვა .....	3
1. ტოტალური თავდაცვა .....	4
1.1. უწყებათაშორისი თანამშრომლობა .....	5
1.2. ამოცანით მართვა .....	6
1.3. რეზერვი და მობილიზაცია .....	6
1.4. სავალდებულო სამხედრო სამსახური .....	7
1.5. პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება და შენარჩუნება .....	7
1.6. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური თავდაცვა: სტრატეგიული კომუნიკაციები და საზოგადოებრივი ცნობიერება .....	8
2. თავდაცვის შესაძლებლობები .....	9
2.1. სამანვერო შესაძლებლობები და საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP) .....	9
2.2. საჰაერო თავდაცვისა და საავიაციო შესაძლებლობები .....	9
2.3. ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობები .....	10
2.4. საინჟინრო (კონტრმობილურობის) შესაძლებლობები .....	10
2.5. საარტილერიო შესაძლებლობები .....	10
2.6. სპეციალური ოპერაციების ძალები .....	10
2.7. ლოჯისტიკური უზრუნველყოფის შესაძლებლობები .....	10
2.8. მართვა, კონტროლი, კავშირგაბმულობა, კომპიუტერული სისტემები, დაზვერვა, თვალთვალი და რეკოგნოსირება (C4ISR) .....	11
2.9. სადაზვერვო შესაძლებლობები .....	11
2.10. კიბერუსაფრთხოება .....	11
2.11. სამხედრო პოლიცია .....	12
3. სამხედრო წვრთნა, განათლება და პროფესიული განვითარება .....	13
3.1. სამხედრო წვრთნა .....	13
3.2. პროფესიული სამხედრო განათლება .....	13
3.3. პროფესიული განვითარება, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა .....	14
3.4. გენდერული პერსპექტივების ინტეგრირება .....	14
3.5. ვეთილსინდისიერების ამაღლება და ანტიკორუფციული გარემო .....	15
4. ძალთა შენარჩუნება .....	15
4.1. რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემა .....	15
4.2. საბრძოლო მომზადების მართვა .....	16
4.3. ადამიანური რესურსების მართვა .....	16
4.4. ლოჯისტიკური მხარდაჭერა .....	17
4.5. მოხსენება მზადყოფნის შესახებ .....	18
4.6. მიღებული გამოცდილების შესწავლა .....	18
4.7. ინფრასტრუქტურის განვითარება .....	19
4.8. შესყიდვების რეფორმა .....	19
4.9. სამედიცინო შესაძლებლობების განვითარება .....	19
5. ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური მხარდაჭერა და სახელფასო უზრუნველყოფა .....	20
6. საერთაშორისო თანამშრომლობა .....	21
6.1. საერთაშორისო ორგანიზაციები .....	21
6.2. საერთაშორისო სწავლებები .....	25
6.3. საერთაშორისო მისიები .....	25
6.4. ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა .....	26
7. სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობა .....	27
8. თავდაცვის რესურსების მართვა .....	28

## საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიმართვა

რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების გამოწვევების დასაძლევად, საქართველოს სჭირდება მაღალი საბრძოლო მზადყოფნის ღონის მქონე თავდაცვის ძალები, მდგრადი სახელმწიფო ინსტიტუტები და კონსოლიდირებული საზოგადოება. ქვეყნის უცვლელ საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტად რჩება ევროატლანტიკური ინტეგრაცია, რაც უსაფრთხოებასთან ერთად, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებასა და მოსახლეობის კეთილდღეობას უზრუნველყოფს.



ძლიერი ეროვნული თავდაცვის ინსტიტუტის განვითარებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე ჩვენ შევიძუშავთ ახალი მიდგომა, რომელიც სტრატეგიულ მზადყოფნას გულისხმობს. **სტრატეგიული მზადყოფნის** მთავარი მიზანია ნატოს სტანდარტებთან თავსებადი მდგრადი ტერიტორიული თავდაცვის ძალებისა და შესაძლებლობების განვითარება იმისათვის, რომ საქართველო ნებისმიერ დროს იყოს მზად ალიანსში გასაწევრიანებლად.

საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებზე საპასუხოდ, ჩვენ უკვე დავიწყეთ ტოტალური თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბება, რაც ჩვენი დემოკრატიის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მყარი საფუძველი გახდება. ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ინსტიტუციონალიზაციის მიზნით, სისტემის არსი და პრინციპები აისახება ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაში, ტოტალური თავდაცვის მიზნების განხორციელების გეგმები კი ამავე დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმაში გაიწერება.

საერთაშორისო გამოცდილებისა და საქართველოს უსაფრთხოების წინაშე არსებულ ჰიბრიდული გამოწვევების გათვალისწინებით, 2019 წელს განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს თავდაცვის ძალების ჰიბრიდულ გარემოში მოქმედებების მზაობაზე გამახვილდება. ამ მიზნით, 2019 წელი **კიბერუსაფრთხოების წლად** გამოცხადდება და მთავარი პრიორიტეტი კიბერუსაფრთხოების თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას მიენიჭება.

ბუნებრივია, თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება შეუძლებელი იქნება ფინანსური მხარდაჭერისა და რესურსების სწორად განაწილების გარეშე. 2019 წელს ჩვენ გავაუმჯობესებთ თავდაცვის სამინისტროში 2016-2018 წლებში გატარებული რეფორმების შედეგად მიღწეულ შედეგებს. ეს კი, ნატოს სტანდარტების მიხედვით, გულისხმობს, თავდაცვის ბიუჯეტის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმუმ 2%-ით განსაზღვრას, პერსონალზე ხარჯის რაციონალურ დაბალანსებასა და შეიარაღების შესყიდვაზე საერთო თავდაცვის ბიუჯეტის არანაკლებ 20%-ის გამოყოფას.

ლევან იზორია

## 1. ტოტალური თავდაცვა

საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, ეროვნული თავდაცვის ორგანიზება ტოტალური თავდაცვის კონცეფციაზე დაფუძნებით დაიწყო და ამ სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც გადადგა.



ტოტალური თავდაცვის მიზანია უზრუნველყოს მშვიდობიანობის პერიოდში იმ მექანიზმების ჩამოყალიბება, რომელთა ამოქმედებით ქვეყნის მობილიზება აგრესიის მოსაგერიებლად მოხდება სწრაფად და ეფექტიანად. ტოტალური თავდაცვის სისტემაში ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ეროვნული რესურსების ერთიან და კოორდინირებულ გამოყენებას გულისხმობს და ითვალისწინებს როგორც სხვა სახელმწიფო უწყებების მხრიდან თავდაცვის ძალების მხარდაჭერას, ისე მოსახლეობის უსაფრთხოებისა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციების უწყვეტობის უზრუნველყოფას.

ამდენად, ტოტალური თავდაცვის სისტემის შექმნით ხდება პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების გადანაწილება თავდაცვის ძალებს, სახელმწიფო უწყებებსა და მოსახლეობას შორის, რაც თავდაცვის ძალებს ეხმარება საკუთარ ამოცანებზე კონცენტრირებაში და უზრუნველყოფს ძალების ეფექტიან გადანაწილებას წინასწარ დადგენილი პროცედურებისა და გეგმების შესაბამისად.

ტოტალური თავდაცვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება სახელმწიფოს **მდგრადობის** საფუძველია, რაც გულისხმობს კრიზისული ვითარების დაძლევისა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციებისა და სერვისების უწყვეტობის შენარჩუნების უნარს. სამხედრო თავდაცვასა და სამოქალაქო თავდაცვასთან ერთად, ქვეყნის მდგრადობის აუცილებელ ელემენტს **გაძლიერებული საერთაშორისო თანამშრომლობა** წარმოადგენს.

ტოტალური თავდაცვის სისტემის კონცეპტუალურ ჩარჩოს განსაზღვრავს **ეროვნული თავდაცვის სტრატეგია 2020-2030 (ეთს)**, ხოლო მისი განხორციელების კონკრეტული მოქმედებები და პროცედურები გაიწერება **ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმაში (ეთმგ)**, რომელიც 2019 წლის განმავლობაში შემუშავდება.

ეროვნული თავდაცვის სტრატეგია თავდაცვის სფეროში გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის საფუძველი გახდება. მისი შემუშავება 2019 წლის პირველ კვარტალში დასრულდება. სტრატეგია უზრუნველყოფს მშვიდობიანობის პერიოდში იმ მექანიზმების შექმნას, რომელთა დახმარებითაც აგრესიის შემთხვევაში, ქვეყნის მობილიზება თავდაცვის მიზნებისთვის მოხდება სწრაფად და ეფექტურად. დოკუმენტის ამოქმედების შემდგომ, ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ეროვნული რესურსების ერთიანი და კოორდინირებული გამოყენებით გახდება შესაძლებელი. ამავე დროს, უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციებისა და სერვისების უწყვეტობა როგორც მშვიდობის, ისე ომიანობის პერიოდში.

ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმა თავდაცვის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას ემსახურება და სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის ორგანიზაციულ დოკუმენტს წარმოადგენს. საომარი ვითარების გამოცხადების შემთხვევაში, ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმა მოიცავს არა მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და თავდაცვის ძალების მოქმედების გეგმას, არამედ მასთან შესაბამისობაში გააერთიანებს ქვეყნის თავდაცვაზე პასუხისმგებელი ყველა სახელმწიფო უწყების შესაბამის სამოქმედო გეგმებს.

ეროვნული თავდაცვის სტრატეგიისა და ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმების შემუშავებასთან ერთად, 2019 წელს თავდაცვის სამინისტრო განაგრძობს ყველა იმ ღონისძიების განხორციელებასა და მხარდაჭერას, რომლებიც ტოტალური თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბებისთვის საკვანძო ელემენტებს წარმოადგენს.

## 1.1. უწყებათაშორისი თანამშრომლობა

როგორც უკვე აღინიშნა, ტოტალური თავდაცვის სისტემის განვითარების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვეყნის თავდაცვაში ჩართული სხვა სახელმწიფო უწყებების ამოცანების ზუსტ განსაზღვრას, რესურსების სწორ დაგეგმვასა და ასევე, მათ კოორდინირებულ და ეფექტურ გამოყენებას.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თავდაცვის სფეროში უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და კოორდინირებული მოქმედების მაღალი ხარისხის მიღწევა. შესაბამისად, 2019 წელს ეროვნული თავდაცვის სტრატეგია 2020-2030 დოკუმენტის დამტკიცების პროცესი წარიმართება ერთიანი სამთავრობო მიდგომის, კერძოდ, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფარგლებში. ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის დოკუმენტზე დაყრდნობით შემუშავდება შესაბამისი სამოქმედო გეგმები და ყოვლისმომცველი ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმის ფარგლებში უწყებრივი დონის სამოქმედო (მზადყოფნის) გეგმების შემუშავებას კოორდინაციას გაუწევს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

ტოტალური თავდაცვის ფარგლებში სახელმწიფო უწყებებს შორის ურთიერთქმედების მაღალი დონის მიღწევის თვალსაზრისით, განსაკუთრებული ადგილი უკავია უწყებათაშორის სწავლებებს. 2019 წელს კვლავ ჩატარდება უწყებათაშორისი სტრატეგიული სწავლება „დიდგორი 2019“, რომელიც ემსახურება კრიზისული თუ საომარი ვითარების დროს სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის გაღრმავებასა და ურთიერთქმედების დახვეწას. ჩვენ ასევე ჩავატარებთ უწყებათაშორის სამეთაურო-საშტაბო სწავლება „ინფო 2019“-ს, რომლის მიზანია თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციით, საინფორმაციო ოპერაციების ძირითადი და მხარდაჭერი ელემენტების მოქმედებების დახვეწა ჰიბრიდულ გარემოში ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის აღსრულებისთვის საგანგებო, საომარი და ომის შემდგომი ვითარების დროს.

## 1.2. ამოცანით მართვა

ამოცანით მართვა (Mission Command) წარმოადგენს ძალთა გამაძლიერებელ ფაქტორს, რომელიც დაეხმარება ჩვენს ძალებს ბრძოლის პირველივე წუთებიდან იმოქმედონ თავდაჯერებულად, სწრაფად, მტკიცედ და ლეტალურად. ამოცანით მართვა გულისხმობს მეთაურებსა და მათ დაქვემდებარებულებს შორის ნდობის ისეთი ხარისხის ჩამოყალიბებას, რომელიც დაეხმარება მათ დაგეგმონ, კოორდინაცია გაუწიონ და მოახდინონ მიღებული დავალების დეცენტრალიზებული აღსრულება დასმული ამოცანის წარმატებით შესასრულებლად. ამოცანით მართვის კულტურის დანერგვა ხელს შეუწყობს ჩვენი თავდაცვის ძალების ეფექტიანობის გაზრდას.

ამოცანით მართვა არის მრავალწლიანი ინიციატივა, რომელიც ზეგავლენას მოახდენს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებში მიმდინარე ყველა ორგანიზაციულ პროცესებზე. 2019 წელს ყურადღება გამახვილდება ისეთ საკვანძო ელემენტებზე, როგორცაა: თავდაცვის ძალებში ამოცანის მართვის არსის დანერგვა და ცნობიერების ამაღლება მის კულტურასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო პროცესებში ამოცანით მართვის პრინციპების ასახვა თავდაცვის ძალების ყველა დონეზე, დოქტრინებისა და სხვა დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც მნიშვნელოვანია ამოცანით მართვის ფილოსოფიის განხორციელებისთვის.

## 1.3. რეზერვი და მობილიზაცია

2018 წელს წარმატებით დაწყებული ეროვნული გვარდიის საპილოტე პროექტი დასაწყისისთვის მოიცავდა ორი ასეულის ჩამოყალიბებას ბათუმსა და თელავში. ეს არის ჩვენი ტერიტორიული რეზერვის ჩამოყალიბების სრულიად ახალი კონცეფციის დასაწყისი, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნება როგორც ეროვნული თავდაცვის გეგმაზე, ისე საგანგებო ვითარებაში სამოქალაქო მხარდაჭერის ოპერაციებზე.

ჩვენ გავაგრძელებთ 2018 წელს ჩამოყალიბებული ორი ასეულის მომზადებას და, ასევე, განვახორციელებთ აუცილებელ ინფრასტრუქტურას ამ პროგრამის სხვა რეგიონებში გავრცელებისა და აქტიური რეზერვის ტერიტორიული კომპონენტის განვითარების მიზნით.

აღნიშნული ქვედანაყოფების ჩამოყალიბება წარმოადგენს გრძელვადიანი გეგმის შემადგენელ ნაწილს, რომლის განხორციელება მომავალში სხვა რეგიონებშიც გაგრძელდება.

ჩვენ ასევე შევიშუავეთ სპეციალისტთა რეზერვის პროგრამის შემდგომი გაფართოების გეგმებს, რაც გულისხმობს რეგულარულ ქვედანაყოფებში სპეციალისტთა რეზერვისტებისთვის შესაბამისი პოზიციების განსაზღვრას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნიკური უნარების სპეციალობებისთვის, რომელთა დაუფლება რთულია რეზერვისტთა პირადი შემადგენლობის წვრთნების დროს.

გაგრძელდება ელექტრონულ მონაცემთა ბაზის განვითარებაც, რომელშიც გაერთიანდება სათანადო ინფორმაცია სამობილიზაციო ადამიანური რესურსის შესახებ, რაც უზრუნველყოფს გამარტივებულ წვდომას ინფორმაციაზე კრიზისულ თუ საომარ ვითარებაში. მონაცემთა ბაზა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია როგორც რეგულარულ, ასევე, სარეზერვო ძალების დაკომპლექტებისთვის.

#### 1.4. სპეციალური სახმელეთო სამსახური

თავდაცვის კოდექსის პროექტი ასახავს ახლებურ ხედვას საქართველოს თავდაცვის ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის ინტეგრირებასთან დაკავშირებით. ხედვის მიხედვით, ახალწვეულები შეუერთდებიან სამხედრო ქვედანაყოფებს, გაივლიან აუცილებელ სანცის საბრძოლო მომზადებას და შეიძენენ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს, რაც მათ ქვედანაყოფებში სამსახურის გავლისას, ეფექტურად მოქმედებაში დაეხმარება. ახალწვეულები გაინვრთებიან რეგულარული სამხედრო სამსახურის სტანდარტების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს სამხედრო სულისკვეთების ზრდას და წაახალისებს მათ ჩარიცხვას რეგულარულ ან რეზერვის ძალებში.

#### 1.5. აირადი შეადგენლობის დაკომპლექტება და შენარჩუნება

საქართველოს თავდაცვის ძალების კვალიფიციური პირადი შემადგენლობის მოზიდვა და შენარჩუნება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. არსებული გამოწვევების დეტალური ანალიზის საფუძველზე, 2019 წელს ჩვენ დავინწყებთ მოქმედებას ოთხი ძირითადი მიმართულებით:

- მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდება სამხედრო კარიერის ტრანზიციის სისტემის განვითარების მიმართულებით. კერძოდ, 2018 წელს ნატოს ექსპერტების ჩართულობით მომზადებული შეფასებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, 2019 წელს იგეგმება ტრანზიციის სისტემის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული მოდელის ჩამოყალიბება და ამ მოდელის ფარგლებში საპილოტე პროექტის განხორციელება. სისტემაში ჩართულ სამხედრო მოსამსახურეებს საშუალება ექნებათ მიიღონ სამოქალაქო პროფესიული განათლება, რაც ხელს შეუწყობს მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების შენარჩუნებას თავდაცვის ძალებში, ხოლო სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას სამოქალაქო ცხოვრებაში. ამასთან, პროექტი სამხედრო სამსახურისთვის ახალგაზრდებს დამატებით მოტივაციას შეუქმნის. პროექტის განხორციელებისას, თავდაცვის სამინისტრო განაგრძობს აქტიურ



თანამშრომლობას, როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, ისე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

- გამარტივდება და უფრო ეფექტური გახდება პირადი შემადგენლობის დაკომპლექტების პროცესი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში რეკრუტირების პუნქტებისა და ორი ძირითადი სამუშაო ცენტრის ჩამოყალიბებით (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში) ახალი სამხედრო მოსამსახურეების სამსახურში სწრაფი აყვანის მიზნით;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება სერჟანტ-კაპრალების თანამდებობების რაოდენობა მათთვის სხვადასხვა სფეროში პროფესიული ზრდის შესაძლებლობის მისაცემად;
- საქართველოს თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობის წახალისებისა და სახელფასო საკითხების დარეგულირების მიზნით, მოხდება მრავალწლიანი გეგმის ინიცირება.

### 1.6. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური თავდაცვა: სტრატეგიული კომუნიკაციები და საზოგადოებრივი ცნობიერება

არსებული საფრთხეებისა და საინფორმაციო გარემოს გათვალისწინებით, დიდია სტრატეგიული კომუნიკაციების მნიშვნელობა, რაც საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის შესახებ მოსახლეობის ჯეროვან ინფორმირებას გულისხმობს. ამაში საქართველოს აქტიურ მხარდაჭერას უწევს ნატო და სხვა პარტნიორი სახელმწიფოები.

ამ მიმართულებით, ჩვენ გავაგრძელებთ საზოგადოებრივი პროექტის „ჩვენი ჯარი“-ის განხორციელებას. პროექტის ფარგლებში იგეგმება ვიზიტები სკოლებში ქართული ჯარისა და საერთაშორისო პარტნიორობის შესახებ ინფორმირების მიზნით. აღნიშნული ასევე გააძლიერებს პატრიოტულ სულისკვეთებას და აამაღლებს სკოლის მოწაფეთა ცნობიერებას ძლიერი ეროვნული თავდაცვის არსებობის აუცილებლობაზე.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, საპილოტე პროექტში ჩართული 14 სკოლის სასწავლო პროგრამაში შევა „თავდაცვისა და უსაფრთხოების“ საგანი. აღნიშნული კურსი მოსწავლეებს გააცნობს საქართველოს უსაფრთხოების წინაშე არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს, რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებს, ქვეყნის თავდაცვის ძალების სტრუქტურასა და ამოცანებს, ასევე, სამოქალაქო უსაფრთხოების თემებს. პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, იგეგმება მისი ფართო დანერგვა.

ამავდროულად, ჩვენ კვლავ ვუმასპინძლებთ ახალგაზრდების საზაფხულო ბანაკებს მანავის სამხედრო ბაზასა და სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ბაზაზე.

## 2. თავდაცვის შესაძლებლობები

ჩვენ განვაგრძობთ ძალისხმევას უზრუნველვყოთ თავდაცვის ძალები საბრძოლო ოპერაციების სანარმოებლად საჭირო მატერიალური შესაძლებლობებით. ამდენად, ნატოს რეკომენდაციის შესაბამისად, ჩვენ გავაგრძელებთ თავდაცვის ბიუჯეტის მინიმუმ 20%-იანი მაჩვენებლის შენარჩუნებას თავდაცვის შესაძლებლობების განსავითარებლად.

### 2.1. საქართველოს შესაძლებლობები და საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP)

განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ და დასავლეთ სარდლობების შემადგენლობაში შეიქმნა ბრიგადის საბრძოლო ჯგუფები. ამ პროცესში განხორციელდა ქვეითი ბატალიონების საბრძოლო შესაძლებლობების ამაღლება. ასევე, ჩამოყალიბდა შერეული ჯავშანსატანკო ბატალიონები. მიმდინარე წელს ასევე დაიწყება ბრიგადების დაქვემდებარებული ქვედანაყოფების სატრანსპორტო საშუალებებით დაკომპლექტება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ მობილურობას. შედეგად, ამაღლდება ბრიგადის საბრძოლო ჯგუფების თვითუზრუნველყოფის დონე, რაც გაზრდის მათი ავტონომიურად მოქმედების ხარისხს.

აშშ-ს ეგიდით მიმდინარეობს საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის მრავალწლიანი პროგრამის (GDRP) განხორციელება. ბრიგადების ქვეითი ბატალიონები სრულად აღიჭურვებიან ნატოს შეიარაღებითა და საბრძოლო სისტემებით და შეინარჩუნებენ მზადყოფნის მაღალი დონეს. უახლოეს პერიოდში აუცილებელი საბრძოლო მასალის შესყიდვებთან ერთად, ასევე განხორციელდება ტანკებისა და საბრძოლო მანქანების განახლება თითოეული შერეული ჯავშანსატანკო ბატალიონის ფარგლებში. რაც შეეხება ეროვნული გვარდიის ბატალიონებს, გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლებელია მათი ეტაპობრივი გადასვლა ნატოს შეიარაღებაზე.

### 2.2. საჰაერო თავდაცვისა და საჰაერო შესაძლებლობები

არსებული საფრთხის გათვალისწინებით, მეტი ყურადღება დაეთმობა საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებას საფრანგეთის უწყვეტი მხარდაჭერით. გაგრძელდება ადეკვატური არსებული საჰაერო თავდაცვის სისტემების შენარჩუნების ღონისძიებები. აგრეთვე, დაიწყება ხელით გადასატანი საჰაერო თავდაცვის საშუალებების შესყიდვის მრავალწლიანი პროგრამა. საჰაერო თავდაცვის მიმართულებით საქართველო საფრანგეთთან თანამშრომლობის მეორე ეტაპზე გადავიდა. ფრანგულ მხარესთან გაფორმდა მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, რომლითაც გრძელდება საჰაერო თავდაცვის სისტემების შესყიდვა. მთლიანობაში, ზემოაღნიშნული აქტივობები ხელს შეუწყობს მომავალში ნატოს ერთიანი მართვისა და კონტროლის სისტემაში ინტეგრირებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდება 7 ერთეული UH1H ტიპის ვერტმფრენის მოდერნიზება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ასევე, განხორციელდება 4 ერთეული AN-2 ტიპის თვითმფრინავის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები.

ამასთან, მიმდინარეობს სახელმწიფო ავიაციის დოქტრინული განვითარება და თანამშრომლობა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

### 2.3. ჯავშანსანიანალმდევო შესაძლებლობები

ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით, ჩვენ გავაგრძელებთ პროგრამას ჯანშანსანიანალმდევო სისტემების შესყიდვის მიმართულებით და შევიძენთ JAVELIN-ის გამშვებ სისტემებს, რაკეტებს და სანვრთნელ საშუალებებს, რაც საქართველოს თავდაცვის ძალებს შესაძლებლობას მისცემს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მონიანალმდევის შეჭავშნულ ფორმირებებს.

### 2.4. საინჟინრო (კონსტრუქციური) შესაძლებლობები

მიმართულებების სარდლობებში ჩვენ განვახორციელებთ საინჟინრო ქვედანაყოფების რეორგანიზაცია თანამედროვე საბრძოლო საინჟინრო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. გერმანული მხარის მხარდაჭერით, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში, მიმდინარეობს მუშაობა კონტრმობილურობის შესაძლებლობების განვითარებაზე.

### 2.5. საარტილერიო შესაძლებლობები

ჩვენი საარტილერიო ქვედანაყოფების რეორგანიზაცია ბრიგადის საბრძოლო ჯგუფებისა და საარტილერიო ბრიგადების ფარგლებში გულისხმობს საარტილერიო, ცეცხლის მართვისა და კონტროლის სისტემების ნატოს სტანდარტებზე თანმიმდევრულ გადასვლას. მაღალი დანახარჯების გათვალისწინებით, აღნიშნული უნდა გახდეს გრძელვადიანი შესყიდვების სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი და ასახავდეს პროცესთან დაკავშირებულ სრულ ხარჯებს.

### 2.6. სპეციალური ოპერაციების ძალები

საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევებისა და განსაკუთრებით, ჰიბრიდულ ომში რუსეთის შეიარაღებული ძალების პოტენციალის, სპეციალური ოპერაციებისა და ასიმეტრიული ქმედებების, აგრეთვე ნატოსთან თავსებადობის, საერთაშორისო მისიებში და საერთაშორისო სწავლებებში მონაწილეობის მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩვენ გავაგრძელებთ სპეციალური ოპერაციების ძალების განვითარებას არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებზე ადეკვატური პასუხის გასაცემად.

### 2.7. ლოჯისტიკური უზრუნველყოფის შესაძლებლობები

შენარჩუნების შესაძლებლობები უნდა განვითარდეს იმისთვის, რომ საქართველოს თავდაცვის ძალებმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეძლონ ინტენსიური ბრძოლა და შემდგომ განუსაზღვრელი ვადით ხანგრძლივი ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა. აღნიშნული საჭიროებს სატრანსპორტო საშუალებებით მარაგების, მასალებისა და ნივთების სწრაფ გადაადგილებასა და მობილური რემონტის შესაძლებლობების განვითარებას. ასევე, მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვის ძალების სამედიცინო შესაძლებლობების განვითარება ნატოს დოქტრინის როლი-1 და როლი-2 სამედიცინო სამკურნალო დანესებულებების სტანდარტების შესაბამისად.

## 2.8. მართვა, კონსოლი. კავშირგაბმობა, კომაიუტარული სისტემები, დაზვერვა, თვალთვალი და რეკონსტრუქცია (C4ISR)

ეფექტური, უსაფრთხო კავშირები და მონაცემთა გაცვლა უმნიშვნელოვანესია თანამედროვე ბრძოლის ველზე. 2019 წელს ჩვენ გავაგრძელებთ შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას მონაცემთა გაცვლის დაცული ქსელის განსავითარებლად და ტაქტიკური კავშირგაბმულობის აღჭურვილობის გაუმჯობესებას ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით. ამ მხრივ, ახლო მომავალში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში (GDRP) ჩართულ საბრძოლო ქვედანაყოფებს. აქვე, აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან საქართველოს თავდაცვის ძალებში დაიწყება C4ISR სისტემის ეტაპობრივი დანერგვა.

## 2.9. სადაზვერვო შესაძლებლობები

დაზვერვის, თვალთვალის, მიზნის აღმოჩენისა და რეკონსტრუქციის (ISTAR) კონცეფცია უზრუნველყოფს საერთო ოპერატიული სურათის შექმნას, რომელიც ეხმარება მეთაურებს ვითარების აღქმაში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში.

ISTAR სისტემის განვითარება ითვალისწინებს სამი ძირითადი მიმართულებით ძალისხმევის მიმართვას:

- **სადაზვერვო ძალები და საშუალებები** - გულისხმობს ტაქტიკური და ოპერატიული დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატების, რადიო-დაზვერვის, ელექტრონული-დაზვერვის, გამოსახულებით დაზვერვის, რეკონსტრუქციის ქვედანაყოფების, საარტილერიო დაზვერვის, ადამიანური რესურსებით დაზვერვის შესაძლებლობების განვითარებას;
- **პროგრამული უზრუნველყოფა და პლატფორმები** - გულისხმობს ISTAR სისტემის ინტეგრირებას ერთიან C4ISR სისტემაში; ასევე, სადაზვერვო სენსორების ტექნიკური თავსებადობისა და ზემოქმედების სისტემების ტექნიკური თავსებადობის უზრუნველყოფას;
- **სტანდარტული სამოქმედო პროცედურები** - გულისხმობს ოპერატიულ-ტაქტიკური დონის სადაზვერვო სახელმძღვანელოების შექმნას; თავდაცვის ძალებში „ყველა ჯარისკაცი სენსორია“ პრინციპის დანერგვასა და გეოსივრცითი დაზვერვის პროდუქტების ინტეგრირების მიზნით, სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შემუშავებას.

## 2.10. კიბერუსაფრთხოება

საქართველოს სტაბილურობისა და უსაფრთხოების წინაშე არსებული კიბერსაფრთხეებიდან გამომდინარე, აუცილებელია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ამ მიმართულებას. კიბერუსაფრთხოება განიხილება, როგორც ახალი ოპერატიული განზომილება. სწორედ ამ მიზნით, 2019 წელი საქართველოს თავდაცვის ძალებში „კიბერუსაფრთხოების წლად“ გამოცხადდა. 2019 წლის განმავლობაში ჩვენ შევიმუშავებთ სრულფასოვან კიბერსტრატეგიას იმისთვის, რომ ვუპასუხოთ ამ სფეროში არსებულ საფრთხეებს. ამასთან ერთად, ცალსახა

რომ კიბერუსაფრთხოება არ წარმოადგენს მხოლოდ ცალკეული უწყების პრეროგატივას და აუცილებლად უნდა განიხილებოდეს ერთიანი ეროვნული ძალისხმევის კონტექსტში. უახლესი ისტორიის შეიარაღებული კონფლიქტების გამოცდილებამ ნათლად დაგვანახა სპეციალისტთა რეზერვის ფარგლებში კიბერრეზერვის ძალების შექმნისა და განვითარების აუცილებლობა. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კიბერუსაფრთხოების ბიუროს.

ინფორმაციული უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვა და მუდმივი განვითარება წარმოადგენს თავდაცვის სფეროს ინფორმაციული სისტემების მდგრად და უსაფრთხო ფუნქციონირების საფუძველს. ზუსტად ამ მიზნით, თავდაცვის სფეროს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში ვგეგმავთ ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცრის ინსტიტუტის შექმნას და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვას.

ბიუროს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და კიბერუსაფრთხოებაზე თავდაცვის სფეროს სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის ცნობიერების ამაღლება. ამ მიზნით, გვაგარძელებთ კიბერუსაფრთხოების საბაზისო კურსის ჩატარებას თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების წარმომადგენლებისთვის დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების აქტიური ჩართულობით.

კიბერუსაფრთხოების პრევენციისა და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, ბიუროს პრიორიტეტია არსებული ტექნიკური საშუალებების განახლება და ახალი შესაძლებლობების დანერგვა. დაგეგმილია კიბერლაბორატორიის დაარსება, რომელიც ფოკუსირებული იქნება კომპიუტერული ინციდენტების ტესტირებაზე, მართვისა და კონტროლის სისტემების მონაცვლადობის ანალიზზე და ა.შ.

მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენს თავდაცვის სფეროში კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კიბერშესაძლებლობების ეფექტურად განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ნატოს გონივრული თავდაცვის ინიციატივის ერთ-ერთი პროექტის - მავნე პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის მიმოცვლის მრავალეროვნული პლატფორმის (MN MISP) სრულფასოვანი წევრობა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით. ამავე მიზანს ემსახურება რეგიონულ კიბერწვრთნებში მონაწილეობა და თავდაცვის სამინისტროს ეგიდით, „კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო ინტერმარიუმ ფორუმის“ ჩატარება.

## 2.11. სამხედრო პოლიცია

სამხედრო პოლიციის შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით გაგრძელდება აქტიური თანამშრომლობა ნატოსა და მის წევრ-სახელმწიფოებთან სწავლებებისა და სამუშაო ჯგუფების ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია იტალიის კარაბინერთა კორპუსთან გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც გულისხმობს საქართველოს ჩართულობას საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებსა და ერთობლივ წვრთნებში და ხელს უწყობს სამხედრო პოლიციის ნატოს სტანდარტებთან დაახლოებას.

### 3. სახელმწიფო წესები, მანათლავა და პროექსიული მანათლავა

#### 3.1. სახელმწიფო წესები

საქართველოს თავდაცვის ძალების განათლება და წვრთნები მშვიდობიანობის დროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. 2019 სასწავლო წლის განმავლობაში, თავდაცვის ძალებში ქმედუნარიანობისა და წვრთნების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ყურადღება გამახვილდება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) ფარგლებში შეძენილი გამოცდილების გააზრებასა და დანერგვაზე. ბრძოლის ველზე საბრძოლო ქვედანაყოფებმა მაღალი ეფექტურობით უნდა შეძლონ გადაადგილება, ცეცხლის მართვა და კომუნიკაცია, რაც მოითხოვს ჯარისკაცების ინდივიდუალური ცოდნის მაღალ დონეს და ასევე ეკიპაჟების მაღალ კვალიფიკაციას.

2019 სასწავლო წლიდან, საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) შესაძლებლობების გაუმჯობესების ფარგლებში, განახლდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა ვაზიანში, კრწანისში, ალგეთსა და ნორიოში, რომელსაც საქართველოს თავდაცვის ძალებთან ერთად, ნატოს და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებიც გამოიყენებენ. CTC და მასთან მიკუთვნებული სხვადასხვა სანვრთნელი ობიექტები, რომელთაც აქვთ შესაბამისი სანვრთნელი სისტემები და რეალური და რეალობასთან მაქსიმალურად დაახლოებული ვირტუალური გარემო, ხელს შეუწყობს მრავალეროვნული, გადასროლისწინა, საბრძოლო მზადყოფნის ამალგებაზე ორიენტირებული წვრთნებისა და სწავლებების ჩატარებას და ასევე, საშუალებას მისცემს ნატოს და პარტნიორ ქვეყნებს როტაციული პრინციპით ჩაატარონ მათი მზადყოფნის შეფასების სწავლებები. დამატებით, CTC აღიჭურვება კომპლექსური სახმელეთო და საჰაერო მიღების საშუალებებით. ამასთან, 2019 წელს გაგრძელდება სანციის საბრძოლო მომზადების ცენტრის (BCT) განვითარების პროცესი, რომლის დასრულების შემდგომაც ახალწვეულებს, ისევე როგორც რეგულარულ და სარეზერვო სამსახურში განვულ პირებს, მიეცემა შესაძლებლობა გაიარონ კიდევ უფრო გაძლიერებული სანციის საბრძოლო მომზადების კურსი.

#### 3.2. პროექსიული სახელმწიფო მანათლავა

უფროს ოფიცერთა პროფესიული განათლების პროგრამის შემდგომი ეტაპის ფარგლებში გაფართოვდება სამეთაურო-სამტაბო კოლექტი რათა მოხდეს საჭირო რაოდენობის მაიორთა მიღება აუცილებელი ცოდნის მისაღებად მომავალში შტაბის ოფიცრისა და მეთაურთა პოზიციების დასაკავებლად. ოფიცრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოხდება ახალი კურსების შემუშავება, როგორცაა „შენარჩუნების ოპერაციების კურსი“ (ტექნიკური უნარების დასახვეწად) და „უფროს ოფიცერთა შენარჩუნების კურსი“, რაც განკუთვნილია იმ ვიცე-პოლკოვნიკებისთვის, რომლებსაც არ ჰქონდათ სამეთაურო-სამტაბო კურსის გავლის შესაძლებლობა, თუმცა, საქართველოს თავდაცვის ძალებში მათი სამსახურის გაგრძელება ძალზედ მნიშვნელოვანია.

2019 სასწავლო წელს ასევე მოხდება „საერთაშორისო მანერის კაპიტნის საკარიერო კურსის“ ინიცირება, რომელიც წარიმართება ინგლისურ ენაზე. თავდაპირველად კურსში

მონაწილეობას მხოლოდ ქართველი ოფიცრები მიიღებენ. სამომავლოდ კი, კურსის შექმნის მიზნიდან გამომდინარე, მასში ქართველ ოფიცრებთან ერთად უცხოელი კოლეგების ჩართვებია.

თავდაცვის ძალებში სერჟანტთა რიცხვის გაზრდის მოთხოვნიდან გამომდინარე, ყურადღება დაეთმობა სერჟანტთა აკადემიის კურიკულუმების შემდგომ დახვეწას, „სერჟანტთა სამეთაურო-საშტაბო კურსისა“ და „საბრძოლო შტაბის სერჟანტის კურსის“ ჩატარებას აშშ-ს ევროპის სარდლობის მობილური წვრთნების ჯგუფის დახმარებით.

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის შედეგად 2019 წლის განმავლობაში დაიწყება და წლის ბოლომდე დაიხვეწება აკადემიის სტრუქტურა, რომლის მიზანიც აკადემიის სტრუქტურის ნათეს ქვეყნების სამხედრო უმაღლეს სასწავლებლების სტრუქტურებთან დაახლოება იქნება. აღნიშნული ცვლილებების შედეგად გაძლიერდება სამხედრო კომპონენტი აკადემიის მართვის სისტემაში, რაც აკადემიის სტრუქტურული ერთეულების მმართველობას შესაძლებლობას მისცემს ეფექტურად დაგეგმონ და მართონ დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები. ამასთან, დაიხვეწება სასწავლო ბატალიონის კურსების მართვის სტრუქტურა და ოფიცრთა საწყისი სამხედრო მიმართულების ინსტრუქტორთა განყოფილება ჩამოყალიბდება სამხედრო გვარეობის სწავლების სპეციალობების შესაბამისად. აღნიშნული პროცესის შედეგად, აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებს გაეზრდებათ ავტონომიური მართვის ხარისხი.

### 3.3. პროფესიული განვითარება. თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა

სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის (DIBS) გაძლიერებით შესაძლებელი გახდა მაღალი დონის რეგიონული და ადგილობრივი კურსების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ უცხო ქვეყნების წარმომადგენლები და ექსპერტები. 2019-2020 სასწავლო წელს გაგრძელდება სპეციალიზებული მოკლე და გრძელვადიანი კურსების, ტრენინგების (მათ შორის ნათეს სტანდარტული კურსების), საინფორმაციო პროგრამების, ლექცია-სემინარების, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების ფორმატის შეხვედრების, დისკუსიებისა და კონფერენციების ჩატარება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის ძალების, სამოქალაქო და უსაფრთხოების სექტორის სხვა წარმომადგენლებისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის აქტიური თანამშრომლობა გერმანულ მხარესთან, კერძოდ, უსაფრთხოების ეროვნულ აკადემიასთან (BAKS), რომლის ფარგლებში 2019 წელს არაერთი მაღალი დონის ღონისძიება არის დაგეგმილი.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება და რეგიონის ქვეყნებისთვის დაგროვილი გამოცდილების გაზიარება. შესაბამისად, სკოლა აქტიურად იმუშავებს როგორც ეროვნული დონის, აგრეთვე რეგიონული კურსების განვითარებაზე. გასულ პერიოდში გადადგმული ნაბიჯების შედეგად თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლას ასევე შეეძლება დისტანციური სწავლების ჩატარება და სტუდენტებისთვის სხვადასხვა სასწავლო პლატფორმის უზრუნველყოფა.

### 3.4. გენდერული პარსაქტიუების ინტეგრირება

2019 წელს გაგრძელდება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარება და საქართველოს 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმიდან გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების - „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ - მოთხოვნათა შესაბამისად აღებული ვალდებულებების შესრულება. სამინისტროს გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის ინიციატივით, სამხედრო სადისციპლინო წესდებას დაემატა მუხლები სექსუალური შევიწროების შესახებ, რომლის თანახმად, სექსუალური გადაცდომა ითვლება დისციპლინარულ გადაცდომად. ამასთან, გაგრძელდება ორგანიზაციული კლიმატის კვლევა, მოხდება შეფასების შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება პოლიტიკის, პროცედურებისა და ტრენინგების მიმართულებით შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად.

### 3.5. კეთილსინდისიერების ამაღლება და ანტიკორუფციული გარემო

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო განაგრძობს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამაში აქტიურ მონაწილეობას. 2019 წელს, ჩვენ გაერთიანებულ სამეფოსთან ერთად განვახორციელეთ და მოვახდინეთ კეთილსინდისიერების ამაღლების მოდულების (ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამასთან შესაბამისობაში) ინტეგრირებას სამხედრო უმაღლეს და სამხედრო პროფესიულ განათლებაში. ამასთან, ჩვენ მოვახდინეთ თაღლითობისა და კორუფციის რისკის იდენტიფიცირების ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიის ანალიზი, რასაც დავაკავშირებთ გადაწყვეტილების მიღების პროცესთან. აქვე, ასევე აისახება თავდაცვის სამინისტროს კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ანტიკორუფციული გარემოს მონიტორინგის საბჭოს ფუნქციები.

## 4. ძალთა შენარჩუნება

თავდაცვის ძალების მატერიალური და არამატერიალური შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან ერთად, ჩვენ ასევე უნდა შევიმუშავოთ და დავინერგოთ პერსონალისა და ქვედანაყოფების მზადყოფნის მაღალი დონის შენარჩუნებისთვის აუცილებელი მექანიზმები და აქტივობები. ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში ჩართული ქვედანაყოფების დაახლოვება აშშ-სა და ნატოს საბრძოლო მზადყოფნის მაღალ სტანდარტებთან. 2019 წელს პროგრამას დამატებით კიდევ სამი ბატალიონი გაივლის. მიმდინარე წელს პრიორიტეტად დაისახა GDRP-ის ინსტიტუციური განვითარება, რაც ქვედანაყოფების მზადყოფნის შესანარჩუნებლად მიზნად ისახავს სწავლების მართვის, ადამიანური რესურსების მართვის, ლოჯისტიკური მხარდაჭერის, რესურსების მართვის (RMS), მზადყოფნის შესახებ მოხსენებისა (USERS) და მიღებული გამოცდილების (LL) მექანიზმების დახვეწას.

### 4.1. რესურსების მართვის ინტეგრირებადი სისტემა

რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის (IRMS) თანმიმდევრული განვითარება ხელს შეუწყობს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელი და მმართველი



რგოლების მართვისთვის აუცილებელი მონაცემების თავმოყრას. შედეგად, გადანაცვტილების მიმღებ პირებს ეწნებათ მუდმივი განახლებული ინფორმაცია ყველა ქვედანაცოფისა და სტრუქტურული ერთეულის მდგომარეობის შესახებ შემდეგი მიმართულებებით:

- სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომი საშუალებების შესახებ
- სასიცოცხლო ციკლის მართვა
- რესურსების გათვლა-პროგნოზირების ანალიზი
- მზადყოფნის სტატუსის შესახებ მოხსენება
- მონაცემები აღჭურვილობის აღრიცხვიანობის შესახებ
- მდგომარეობისა და შესაძლებლობების შესახებ ანგარიშები
- ფინანსური ღირებულება, ხარჯებისა და რესურსების გრძელვადიანი დაგეგმვა

ინტეგრირებული რესურსების მართვის სისტემის დასრულება იგეგმება შემდგომი სამი წლის განმავლობაში. 2019 წელს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საშტატო განრიგსა და ქონების ტაბელზე, ადამიანური რესურსების მართვასა და პირადი შემადგენლობის მზადყოფნაზე, ძირითადი აღჭურვილობის აღრიცხვაზე, ინფრასტრუქტურისა და საბრძოლო მასალების მართვაზე.

#### 4.2. საბრძოლო მომზადების მართვა

2019 წელს დაგეგმილია GDRP-ს ფარგლებში შემუშავებული საბრძოლო მომზადების მართვის სისტემისა და საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და მზადყოფნის ციკლური მოდელის არსებულ პირობებთან მორგება და დანერგვა. ეს კი საშუალებას მისცემს ქვედანაცოფებს, დაგეგმონ და გამოყონ შესაბამისი რესურსები ოპერაციების/მისიების, სწავლებებისა და შესაბამისი აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წვრთნების მართვის პროცედურებისა და პროგრამების ისევე როგორც თავდაცვის ძალებში შესაბამისი დოქტრინებისა და რეგულაციების შემუშავება და ფართოდ დანერგვა.

#### 4.3. ადამიანური რესურსების მართვა

2019 წელს თავდაცვის სამინისტროში ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად გაგრძელდება წინა წლებში დაწყებული მნიშვნელოვანი პროცესების განხორციელება. ეს გულისხმობს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომი პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესის გაუმჯობესებას და 2019 წლის ბოლოსთვის პროფესიული განვითარების პროგრამების ინტეგრირებას ინდივიდუალური კარიერის განვითარების გეგმებში.

აღნიშნული მექანიზმებისა და GDRP შედეგების მეშვეობით, ჩვენ განვახივითარებთ და დავნერგავთ ადამიანური რესურსების მართვის გრძელვადიან პოლიტიკას, გეგმებსა და პროგრამებს. თავდაცვის მზადყოფნის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უნდა განხორციელდეს ანალიზი, რომ შევძლოთ ყველა ტაქტიკურ ქვედანაცოფში შესაბამისი რიცხოვნობის პირადი შემადგენლობის რეკრუტირება, შესაბამის პოზიციაზე დანიშვნა, მართვა და შენარჩუნება.

ამავდროულად, 2019 წელს სრულად გაიმართება ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზირებული სისტემა, რაც პერსონალის სიცოცხლის ციკლის ფუნქციებს უზრუნველყოფს. ახლად შექმნილი სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრს დაევალება შექმნას კარიერის განვითარების მოდელი თითოეული სამხედრო სპეციალიზაციისა და ფუნქციური მიმართულებების მიხედვით. ზუსტი და ეფექტური ავტომატიზირებული ადამიანური რესურსების მართვის მონაცემთა ბაზა, ძალთა სტრუქტურის მოთხოვნები და გამჭვირვალე პროფესიული/კარიერული განვითარების მოდელები საშუალებას მისცემს საქართველოს თავდაცვის ძალებს არსებული და სამომავლო მოთხოვნების შესაბამისად, საჭირო დროს, საჭირო ადგილზე განსაზღვროს შესაბამისი დასანიშნი პირები.

#### 4.4. ლოჯისტიკური მხარდაჭერა

2018 წლის უმთავრეს პრიორიტეტს ლოჯისტიკა წარმოადგენდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენ შევიშუშავეთ ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა, რომელიც მომავალ წლებში მუდმივი განვითარების გზამკვლევეს წარმოადგენს. 2019 წელს ყურადღებას გავამახვილებთ ლოჯისტიკური სტრუქტურების რეორგანიზაციაზე, პროცესების განახლებასა და ლოჯისტიკოსების ყველა დონეზე მომზადებაზე ძალებისთვის შესაბამისი ლოჯისტიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად აუცილებელი გადანაცვტილებების მისაღებად. ლოჯისტიკური შესაძლებლობების ორგანიზება მშვიდობიან პერიოდში მოხდება საომარი ვითარების მოთხოვნების შესაბამისად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში დამოუკიდებელი ოპერაციების სანარმოებლად და აგრესიისთვის წინააღმდეგობის გასაწევად.

თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-4 ლოჯისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის შემცირების შედეგად, დეპარტამენტი ორიენტირებული იქნება მხოლოდ სტრატეგიული ლოჯისტიკური ფუნქციების განხორციელებაზე და აუცილებელი დოქტრინული და კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავება-გამოცემაზე. თავდაცვის ძალების ლოჯისტიკური მხარდაჭერის სინქრონიზების, კოორდინირების, აღსრულების ეფექტიანად უზრუნველსაყოფად საქართველოს თავდაცვის ძალები მიიღებს მომარაგების, ტრანსპორტირების, გადაადგილების, შენარჩუნებისა და ლოჯისტიკური მართვის დოქტრინას და მასში შემავალი მზადყოფნის შესახებ მოხსენების მოთხოვნებს. დამატებით, საქართველოს თავდაცვის ძალებში განისაზღვრება და დამტკიცდება ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის დონეები, ასევე, აღჭურვილობის მზადყოფნის პროცედურები და სტანდარტები.

განხორციელდება ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის რეორგანიზაცია სარდლობის შტაბში, რაც მატერიალური რესურსების მართვის ცენტრისა და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ლოჯისტიკური მხარდაჭერის ბატალიონებისა და სამხედრო ობიექტების ინფრასტრუქტურული მართვის ჯგუფების შექმნას მოიცავს. მატერიალური რესურსების მართვის ცენტრის ფუნქციაა საქართველოს თავდაცვის ძალების ყველა ოპერატიული და ტაქტიკური ოპერაციების მართვის ზედამხედველობა. იგი პასუხისმგებელი ისეთ ლოჯისტიკურ ფუნქციებზე, როგორცაა საგნების მართვა, შენახვის ღირებულება, სასიცოცხლო ციკლის მართვა, კოდიფიკაცია და სპეციფიკაციის მონაცემთა ბაზის შექმნა მარაგებისა და აღჭურვილობის შესაძენად.

ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონებში ჩამოყალიბდება ლოჯისტიკური ოპერაციების ცენტრი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, დაგეგმოს და ადასრულოს ბრიგადის ლოჯისტიკური მხარდაჭერა და შენარჩუნება.

2019 წელს განსაკუთრებული პრიორიტეტი მიენიჭება აუცილებელი მხარდაჭერი და სასაწყობო საშუალებების განვითარებას აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, რაციონალურად განერილი განვითარების გეგმის მიხედვით, რაც განამტკიცებს ლოჯისტიკის წლის მიზნების მიღწევებს.

„დიდგორი 2018“-ის ფარგლებში განხორციელებული სიმულაციების მეშვეობით, მოხდა ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სისტემის შემოწმება. აღნიშნულს დაემატება 2019 წელს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში დაგეგმილი მობილურობის სწავლებები და ძირითადი საბრძოლო და სიმულაციური სწავლება ლოჯისტიკური სტრუქტურის, პროცესებისა და შენარჩუნების შესაძლებლობის შესამოწმებლად.

როგორც მრავალეროვნულმა სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2018“-მა აჩვენა, საქართველოს თავდაცვის ძალებს აქვს ბატალიონის ზომის ძალთა მიღების, თავმოყრისა და წინ გადაადგილების ოპერაციების (RSOM) განხორციელების შესაძლებლობა სამხედრო წვრთნების, მეცადინეობების, კრიზისის მართვის ოპერაციების მხარდასაჭერად ნატოს სტანდარტების შესაბამისად. ეს გვაძლევს საფუძველს, რომ დავასრულოთ ნატოს SNGP-ის ლოჯისტიკური ინიციატივები და ყურადღება გავამახვილოთ აშშ-ს ორმხრივი მხარდაჭერის ფარგლებში არსებული ლოჯისტიკური შენარჩუნების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ სფეროებზე.

#### 4.5. მოხსენება მზადყოფნის შესახებ

მზადყოფნის შესახებ მოხსენების მომზადება წარმოადგენს მზადყოფნის დონის შენარჩუნების საფუძველს. 2019 წელს მოხდება GDRP ქვედანაყოფების მზადყოფნის შესახებ მოხსენებების გამოცდილების ანალიზი და სინქრონიზება არსებულ საშტატო განრიგთან და ქონების ტაბელთან, სანვრთნელ დოქტრინასთან და მზადყოფნის შესახებ გაუმჯობესებულ რეგულაციებთან, რის შემდეგაც მოხდება მისი დანერგვა საქართველოს თავდაცვის ძალებში. თავდაცვის ძალების მეთაურისთვის კვარტალური მზადყოფნის მოხსენებების დანერგვით, სამეთაურო ჯაჭვს შეექმნება მკაფიო სურათი ქვედანაყოფებისა და ინდივიდუალური მზადყოფნის დონის შესახებ, რაც მათ საშუალებას მისცემს გამოავლინოს, გაანალიზოს და შესაბამისი ყურადღება გაამახვილოს იმ მიმართულებებზე, სადაც მზადყოფნის საკითხი დამატებით ყურადღებას მოითხოვს.

#### 4.6. მიღებული გამოცდილების შესახებ

GDRP ფარგლებში, წარმატებით განხორციელდა გამოცდილების გაზიარების პროგრამის დანერგვა. მიმდინარე წელს, აშშ-ს გამოცდილების გაზიარების მხარდაჭერი ჯგუფის დახმარებით, ჩვენ განვახორციელებთ გამოცდილების გაზიარების პროგრამის სრულ ინტეგრირებას იმისათვის, რომ გაანალიზდეს როგორც GDRP, ისე ზოგადად თავდაცვის ძალებში არსებული გამოცდილება და დაინერგოს საუკეთესო პრაქტიკა. დიდი ძალისხმევა

დაეთმოა 2018 წელს შექმნილი გამოცდილების გაზიარების პორტალის სრულ და ეფექტურ გამოყენებას თავდაცვის ძალებში, უნივერსალური ელექტრონული წვდომის უზრუნველყოფისა და გამოცდილების გაზიარების სახელმძღვანელოს მეშვეობით.

#### 4.7. ინფრასტრუქტურის განვითარება

2018 წელს თავდაცვის სამინისტროში დასრულდა ინფრასტრუქტურის მართვის სისტემის შეფასება. 2019 წლის სტრატეგიულ პრიორიტეტად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის ეფექტიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბებისთვის გეგმა-გზამკვლევის შემუშავება.

2019 წლის პრიორიტეტები მოიცავს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას სამხედროების კეთილდღეობის მხარდასაჭერად და საწვრთნელი შესაძლებლობების გასავითარებლად. ამ მიმართულებით მიმდინარე წელს დაგეგმილია საერთო საჯარისო ცენტრის მშენებლობის დასრულება და საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის (BCT) დაგეგმვისა და განვითარების პროცესის გაგრძელება. ასევე, დაგეგმილია ინფრასტრუქტურის შენარჩუნების ობიექტების დასრულება და გეგმების შემუშავება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ლოჯისტიკის ახალი ბაზებისა და საბრძოლო მასალების საწყობების მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც თანხვედრაში იქნება გაეროს მიერ განსაზღვრულ უსაფრთხო შენახვის სტანდარტებთან. აგრეთვე, მოხდება ხონის სამხედრო ბაზისა და ეროვნული გვარდიის ინფრასტრუქტურის თანმიმდევრული განვითარება.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბი დაასრულებს საქართველოს თავდაცვის ძალების ინფრასტრუქტურული ობიექტების ძირითად გეგმას და მისი მოთხოვნების გათვალისწინებით, ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიან გეგმას (არანაკლებ 5 წელი). რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემის ფარგლებში შექმნილი ინფრასტრუქტურის მართვის პროგრამის განვითარება და გაშვება სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

#### 4.8. შესყიდვების რეფორმა

თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭირო მასალებისა და საშუალებების შესყიდვა სპეციფიკურ საკანონმდებლო პროცედურებს საჭიროებს. ამის გათვალისწინებით, თავდაცვის სამინისტრო უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობით მოახდენს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებას, რომელიც უპასუხებს თავდაცვის შესყიდვების მოთხოვნებს. სამუშაო ჯგუფი შეაფასებს შესყიდვების სფეროში არსებულ ვითარებას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისი შესყიდვების მოდელის შემუშავება.

#### 4.9. საკლინიკო შესაძლებლობების განვითარება

2018 წელს ქუთაისში ახალი სამედიცინო კლინიკის გახსნამ გააუმჯობესა სამედიცინო მხარდაჭერის შესაძლებლობები დასავლეთ საქართველოში.

საქართველოს თავდაცვის ძალების ყველა ქვედანაყოფის სტრუქტურაში გათვალისწინებული იქნება სამედიცინო შესაძლებლობები (როლი-1 ან დახმარების პუნქტი) ან/და როლი-

2 სამედიცინო სამკურნალო დაწესებულება ოთხი ბრიგადის საბრძოლო ჯგუფში ნატოს დოქტრინების შესაბამისად, სამანევრო ბრიგადების სამედიცინო მხარდაჭერის უზრუნველყოფისთვის. 2019 წელს გამოიყოფა თანხები ორი როლი-2 სამედიცინო სამკურნალო დაწესებულების და 2020 წელს დამატებით ორი იგივე სახის სამკურნალო დაწესებულების აღსაჭურვად.

